

– ასე იყო, ჩემო სერგო და... არ მინდა ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ეს წერილი არ გაჩვენო. – დაუბეჯითა მეგობარმა. რალაცის თქმას კიდევე აპირებდა, მაგრამ სატელეფონო კავშირი მოულოდნელად განწყდა.

* * *

შუალამე გადასული იყო. პაოლომ სამივე წერილი დაწერა, ჯერ მედეასათვის, მერე მეუღლისათვის. ბერიასაც დაუწერა ორიოდ სიტყვა და... უეცრად ხელში ის რვეული მოხვდა, იმ დღეს კოლაუმ რომ აჩუქა.

დახედა.

გაეღიმა.



მედეა იაშვილი,
კოლაუ ნადირაძე

მოაგონდა, უკანასკნელად როგორ აარიდა თავი
მასთან საუბარს.

გული შეეკუმშა.

წერა დაიწყო.

შეუჩერებლად წერდა.

მერე გადახია და... ახალი ფურცელი ამოხია კო-
ლაუს ნაჩუქარი რვეულიდან:

ჩემო კოლაუ!

*ვინ-ვინ და... შენ მიმიხვდები, რატომ გადავწყ-
ვიტე ასე დავასრულო სიცოცხლე...*

არ მიატოვო ჩემი მედეა!

*ხვალ კი... როცა ამ ამბავს გაიგებ, უნდა უარმყო!
სხვა გზა ბერიამ არ დამიტოვა, იქნებ ამითი გა-
დავარჩინო ჩემი ოჯახი, გადაგარჩინოთ, თქვენ, ყვე-
ლა, ცისფერყანწელები!*

მშვიდობით!!!

არ მიატოვო მედეა!!!

1937 წლის 22 ივლისის დილა გათენდა.

გათენდა უკვე... ჩემთვის – უკანასკნელად.

შენი მოყვარული ძმა – პაოლო.

* * *

იმ დღეს, როცა მწერალთა კავშირი ღმერთისგან
მიტოვებულ ადამიანთა სადგომს დაემსგავსა, კრება
იყო დანიშნული.

პაოლოს სხდომაზე მისვლა დაუგვიანდა, რომ შე-
ვიდა, უკანა რიგში, განაპირას დაჯდა. ბევრს არც
შეუმჩნევია მისი შემოსვლა... ამ დროს ტიცინამა
მოიხედა, რომ დაინახა, გაიბადრა, მძიმედ წამოდგა,
რიგებს შუა გაიარა. პაოლოსთან მივიდა, პაპიროსი

სთხოვა. პაოლოს გაეღიმა, ხელი ჯიბისკენ წაიღო, მთელი კოლოფი მიაწოდა. ტიცვიანმა ერთი ღერი ამოიღო და კოლოფი უკან გაუწოდა. პაოლომ აღარ გამოართვა, გქონდეს, გქონდეს, მე აღარ მინდაო. ტიცვიანმა – გავიდეთ, ბაღში მოვწიოთო! გადი და ცოტა ხანში გამოვალო, ხმადაბლა უპასუხა პაოლომ. კარგო! დაეთანხმა ტიცვიანი, კართან მივიდა. მერე მოიხედა, პაოლოს ისე დააცქერდა, თითქოს რაღაცის ამოცნობა უნდაო და... ბავშვურად გაუღიმა. თვალებით რაღაც ანიშნა. პაოლო ვერ მიუხვდა. მხრები აიჩეჩა, მერე გამოვალო!

მაგრამ...

პაოლო ტიცვიანთან ერთად აღარ გასულა.

სხდომაზე დარჩა.

თუმცა მალევე ადგა.

შუა სხდომიდან გავიდა.

მეორე სართულზე ავიდა და... თოფის გასროლის ხმამ შეაზანზარა შენობა!

მწერალთა კავშირში იმ საბედისწერო სხდომას ესწრებოდნენ:

კონსტანტინე ლორთქიფანიძე (ამ ტრაგედიის შემხედვარე, ძალიან მალე, მყრალ რეპლიკას წამოროშავს: უი, ეს თავის ქალა რა კარგი მოსასაქმებელიაო!);

ბესო ჟღენტი (ცისფერყანწელთა და არა მხოლოდ ცისფერყანწელთა დაუძინებელი მტერი);

ნიკო ლორთქიფანიძე (ცისფერყანწელთა მეგობარი. მისი პიროვნებითა და შემოქმედებით აღტაცებული ყანწელები ლექსებსაც უძღვნიდნენ);

დავით დემეტრადე (წარმართავდა კრებას);

იყვნენ სხვებიც:

ალექსანდრე ქუთათელი;

ტიციან ტაბიძე;
მიხეილ ჯავახიშვილი;
ვალერიან გაფრინდაშვილი;
სერგო კლდიაშვილი;
ალი არსენიშვილი;
ალექსანდრე მაშაშვილი;
კარლო კალაძე;
ალექსანდრე აბაშელი;
სანდრო ეული (ამბოზენ, კრებაზე დაიგვიანაო);
იროდიონ ქავჭავაძე;
ირაკლი აბაშიძე.

ეს უკანასკნელი ძალიან დიდი ხნის მერე იგონებ-
ბს, რომ პაოლო იაშვილი შუადღისას მოვიდა მწე-
რალთა კავშირში, ხელში გაზეთში გახვეული თავისი
ცნობილი, ძვირფასი ლებოს თოფი ეჭირაო. უთქვამს
– გასაყიდად წამოვიღე, მაგრამ მონადირეთა კავ-
შირში კაპიკები მაძლიეს და აღარ გავყიდეო!

მერე მწერალთა კავშირის ბუფეტის გამგისთვის
ვალი, შვიდი მანეთი გადაუხდია. ისევ შინ მიბრუნე-
ბულა, თოფი კი მწერალთა კავშირში დაუტოვებია!

სალამოს მწერალთა კავშირისკენ გზად პაოლო
ირაკლი აბაშიძეს შეხვედრია. უსაუბრიათ.

ჰოდა, გულდანყვეტილ პაოლოს უკითხავს – გუ-
შინ თვალი რომ ამარიდე, არ მომესალმე და... ხომ
არ შეგეშინდაო?!

ირაკლიმ – რას ამბობ, ეტყობა, ვერ დაგინახე,
თორემ... ასე რომ იყოს, ახლაც ხომ თვალს აგა-
რიდებდიო?!

პაოლომ – აგერ ნახავ, სხვებიც დაინახავენ, მში-
შარა არა ვარო!

ირაკლიმ – აბა, რას ამბობ, ვინმეს ეპარება კი
ეჭვი შენს ვაჟკაცობაშიო?! პაოლოსაც უთქვამს რა-
ღაცა, მაგრამ მაინც ვერ აუწყვიათ საუბარი.